პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 88 (12904) | ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

□ მშრომელთა კოლექტივები — საპირველმაისო ვახტზე

□ სახალხო კონტროლიორები იგრძვიან პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის

□ საზღვარგარეთის ახალი ამბები

შთამაგონებელი მოწოდებანი

ნახევარი თვე გვაშორებს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღეს. მას ყოველთვის უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობით ეგებება ჩვენი დიადი სამშობლო.

სწორედ ამიტომ არის, რომ მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხალხთა ენაზე შთამაგონებლად აღღერდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი. მათ ახალი ძალა და ენერგია შემატეს საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში.

როგორც ყოველთვის, წელსაც ჩვენს დიად სამშობლოში ფართოდ გაჩაღდა წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეექვსე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებაში საქართველოს მშრომელებმა უკვე მოიპოვეს პირველი კეთილსასურველი შედეგები.

პირველი კვარტალის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 102 პროცენტით შეასრულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. ასევე წარმატებით შრომობენ სოფლის მეურნეობის მშრომელები. ისინი ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრონ საგაზაფხულო კულტურების თესვა და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ უხვ მოსავალს.

ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია პირველი მაისისათვის მზადებამ საქართველოს მშრომელებში. ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, მინდვრებსა და პლანტაციებში სულ უფრო ფართოვდება პირველი მაისისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. დიდებულ დღესასწაულს სასახელო საჩუქრებს უმზადებენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, ნოვატორები. ბევრმა მათგანმა დროს გაუსწრო, უკან მოიტოვა შვიდწლედის საკონტროლო ციფრები და გაბედულად მიიწევს წინ ახალი მიჯნების დასაპყრობად. ახლა მთავარია ის, რომ ნოვატორთა შრომითი მაჩვენებლების დონეზე ავიყვანოთ წარმოების შრომითი მაჩვენებელი და ამით დავაჩქაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალღონე მოახმარეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას!

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი განვითარებისათვის პარტიის, ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმები, რომლებმაც განიხილეს და დასახეს ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ნათელი და კონკრეტული პროგრამა.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის კეთილდღეობის უმთავრესი გაუმჯობესების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. იბრძოლეთ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის!

სოფლის მეურნეობის მშრომელებო! იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, თვითეულ ჰექტარზე პროდუქციის მატებისათვის, განუხრელად შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე გაჩაღებულია საპირველმაისო მძლავრი სოციალისტური შეჯიბრება. ახლა მთავარია ის, რომ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ დიდ შრომითს აღმავლობას, დარაზმონ მშრომელები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

პირველი მაისის შესახვედრად

ათასობით მანეთი ეკონომიის ფონდში

თბილისის ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივი ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს. საწარმოს კოლექტივმა პირველი კვარტალის საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება 112,2 პროცენტით გაანაღდა, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 1 მილიონ 182 ათასი ცალი ბოთლი. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებითა და მანქანადანადგარების მაქსიმალურად გამოყენებით შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით ამაღლდა 11,2 პროცენტით, ხოლო პირველ ორ თვეში პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 3,1 პროცენტით. მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 4.000 მანეთი.

წარმოებაში ბევრი ჰყავთ ადამიანები, რომლებიც შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან, მაგრამ კომუნისტური შრომის ბრიგადებს, რომლებსაც რ. ნამორაძე, ჰ. დეიშვილი და ა. სასონკო ხელმძღვანელობენ, ვერაკინ შეედრება. ისინი დავალებებს სისტემატურად ორმაგად ასრულებენ. წარმოების ნამდვილი შუქურები არიან კომუნისტური შრომის დამკვრელები თ. მესტვერიშვილი, ვ. კრივოშეევი და ს. წიკლური.

ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს

გორის საწარმოო სამმართველოს მეცხოველეებმა 10 აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.559 ცენტნერი ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.120 ცენტნერისა.

მახარაძის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.830 ცენტნერი ხორცი, ნახევარი წლის გეგმა კი 2.110 ცენტნერს ითვალისწინებდა.

ლანჩხუთის რაიონმა წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 1.845 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 1.580 ცენტნერისა.

ფულუკიძელმა მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.410 ცენტნერი ხორცი, ნახევარი წლის გეგმა კი 3.270 ცენტნერს ითვალისწინებდა.

დუშეთის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 304 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 286 ათასი ცალისა.

ამბროლაურის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 392 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 340 ათასი ცალისა.

შრომითს ვახტზე

□ **შრომაში** მოპოვებული ახალი წარმატებებით შევხვდეთ პირველ მაისის დღესასწაულს — ასეთი დევიზით შრომობს თბილისის კომუნისტური შრომის საწარმოს — კერამიკული ქარხნის კოლექტივი და წარმატებასაც აღწევს. აქ საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 104,9 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 80 ათასი მანეთის პროდუქცია.

ცხინვალი. (საკ. კორ.). მომინანქრებული სადენების ქარხანა ფართოდ ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა ოთხი თვის დავალება 22 აპრილისათვის გაანაღდოს. პირველი კვარტალის დავალება აქ 105 პროცენტით შესრულდა. ქარხანაში მაღალი წარმატებები მოიპოვა ბრიგადამ, რომელსაც პეტრე თიბილოვი ხელმძღვანელობს.

ამ საწარმოდან ყოველთვიურად იგზავნება მომინანქრებული სადენი ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებში და დემოკრატიულ ქვეყნებში. მარტის ბოლო რიცხვებში ცხინვალის მომინანქრებული სადენების დიდი პარტია გაეგზავნა რევოლუციურ კუბას.

□ **ფოთის** მეთევზეობის კოლმეურნეობა „კოლხიდამ" მიმდინარე წლის თებერვალში ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა გაენაღდებინა პირველ კვარტალში. შემდეგ კი დამატებით იკისრა ვალდებულება ამავე პერიოდში შეესრულებინა წლიანხევრის დავალება. კოლმეურნე მეთევზეებმა გმირული შრომა გაიჩაღეს და წლიური გეგმა 160 პროცენტით, ხოლო 1 აპრილისათვის წლიანხევრის გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს.

ჯერ კიდევ მარტის პირველ დღეებში „ბრავადაში" დაბეჭდილი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ფოთის თევზკომბინატის კოლექტივმა სახალინელთა მაგალითისამებრ 9 თვის დავალება წარმატებით შეასრულა. ამით აღფრთოვანებულმა თევზკომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა შეესრულებინა 16 აპრილისათვის. ორგანიზატორული მუშაობით ეს ვალდებულება განაღდებულ იქნა 4 აპრილისათვის. თევზკომბინატმა მიიღო 4.065 ტონა ნედლეული ნაცვლად 2.374 ტონისა. თევზის პროდუქცია გამოშვებულია 3.675 ტონა, გეგმა კი 2.032 ტონას ითვალისწინებდა.

თევზკომბინატის კოლექტივმა დიდი ქმედის განვითარების ფონდში შეიტანა 40.000 მანეთი.

ჭიათურა. უკვე 1966 წლის ანგარიშში შრომობს „ჭიათურმარგანეცის" ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს ელმავლის მემანქანე ლევან ნეფარიძე. მან ვალდებულება იკისრა ყოველ ცვლაში დავალების ზევით მაღაროდან გამოზიდოს ერთი შემადგენლობა მარგანეცის მადანი. **სურათზე:** ლ. ნეფარიძე (მარცხნივ) და ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს დისპეტჩერი ა. აბესაძე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

დელი, 14 აპრილი. (საკდესი). რიშიკეშში (უტარ-პრადეშის შტატი), გაიმართა ცერემონია — პირველი აგურის ჩადება ანტიბიოტიკების ქარხნის ერთ-ერთი საამქროს საძირკველში, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება.

საბჭოთა კავშირის დახმარებით

გამოვიდა რა ცერემონიაზე, ნავთობისა და ქიმიური ნედლეულის სამინისტროში სახელმწიფო მინისტრმა ო. ვ. ალაგესანმა დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირის დახმარება ინდოეთის სამკურნალო პრეპარატების წარმოების მოგვარების საქმეში. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დახმარებით ინდოეთში შენდება მედიკამენტებისა და სამედიცინო ხელსაწყოების სამი ქარხანა რიშიკეშში, ჰაიდერაბადსა და მადრასში.

ნ. ს. პატოლიჩევი ლონდონში ჩავიდა

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). ინგლისის მთავრობის მოწვევით დღეს ლონდონში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი. ინგლისში ყოფნის დროს ნ. ს. პატოლიჩევი მოლაპარაკებას გამართავს ვაჭრობის მინისტრ ე. ჰიტთან ინგლისა-საბჭოთა კავშირის საგაჭრო შეთანხმების განხორციელების შესახებ. ნ. ს. პატოლიჩევი და მისი თანმხლები პირები იმოგზაურებენ ინგლისში და ეწვევიან შოტლანდიას, ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისს, ბირმინჰემსა და სხვა სამრეწველო ცენტრებს.

ცეილონის კომპარტიის ყრილობის წინ

კოლომბო, 14 აპრილი. (საკდესი). ცეილონელი კომუნისტები მზადებას ეცილონის კომპარტიის მეშვიდე ყრილობისათვის, რომელიც გაიმართება კოლომბოში 16-დან 19 აპრილამდე. ცეილონის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში იმსჯელეს იმ რეზოლუციათა პროექტების გამო, რომლებიც განსახილველად წარედგინება ყრილობას, აირჩიეს დელეგატები. ყრილობაზე ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. მ. რუმიანცევი მეთაურობს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, ბრაზილიისა და სხვა ქვეყნების კომპარტიების დელეგაციები.

ამთავრებენ „ძირგამომთხრელს" მეტწილად უწოდებენ ლიტერატურას, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ თავისუფლად იყიდებოდა ყველა კიოსკსა და მაღაზიაში.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში ახალი მთავრობა ჩადგა, შესამჩნევად გააქტიურდნენ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის კომპანიები, რომლებიც ცდილობენ ისარგებლონ შექმნილი მდგომარეობით. უცხოეთის კაპიტალის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ განზრახული აქვთ მკვეთრად გაადიდონ კაპიტალის დაბანდება: კერძოდ, „ფოლქსვაგენის" კომპანიის განზრახული აქვს გაორკეცოს თავისი ინვესტიციები.

ეტნის ამოფრქვევა

რომი, 14 აპრილი. (საკდესი). ვულკანი ეტნა, რომელმაც ცოტა ზარალი როდი მიაყენა სიცილიის მცხოვრებლებს, კვლავ ამოეკვეთდა. გუშინ საღამოს ვულკანმა დაიწყო ხშირი კვამლისა და გაგვარვარული ფერფლის ამოფრქვევა. კვამლის ღრუბელი ვულკანის თავზე სამას მეტრ სიმაღლეს აღწევს.

მანიფესტები ირანში

თეირანი, 14 აპრილი. (საკდესი). გუშინ ირანში დაიწყო მანიფესტები „დელავეარი", რომელშიც მონაწილეობენ ირანისა და ამერიკის შეიარაღებული ძალების ნაწილები.

მდგომარეობა ბრაზილიაში

რიო-დე-ჟანეირო, 14 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ა. ალაბიევი გვატყობინებს:

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ბრაზილიაში გრძელდება დაპატიმრება და ჩხრეკა. „მთელ ბრაზილიაში, — წერს გაზეთი „დიარიო კარიოკა", — გრძელდება აგიტატორებისა და კომუნისტური ლიდერების დაპატიმრება, დაპატიმრებულთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება". გაზეთები ბევრს ხმაურობენ „ძირგამომთხრელი ლიტერატურის" თაობაზე, რომელსაც თითქოს ჩხრეკის დროს ნახულობენ. მაგრამ, როგორც გაზეთი „კორეიო და მანია" მართებულად აღნიშნავს,

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გავშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება! ვადამდე შევასრულოთ შვიდწლედის მეექვსე წლის გეგმა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

მოლაპარაკება კრემლში

14 აპრილს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა ა. ნ. კოსიგინმა, ა. ი. მიქოიანმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა და სხვებმა.

პოლონეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურებმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. კლიშკომ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ს. ენდრიხოვსკიმ და დელეგაციის სხვა წევრებმა.

მოლაპარაკების დროს განიხილეს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხები, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, მიღწეულია სრული ურთიერთგაგება ყველა განხილულ საკითხზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო კამბოჯის სამხედრო დელეგაცია

14 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი კამბოჯის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კამბოჯის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ერთვნული თავდაცვის მინისტრი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალ-ლეიტენანტი ლონ ნოლი. დელეგაციას თან ახლდა კამბოჯის ელჩი საბჭოთა კავშირში ხუ კანტული. ნ. ს. ხრუშჩოვსა და გენერალ-ლეიტენანტ ლონ ნოლს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ნ. პ. დაგაევი.

(საკდესი).

ძმური მეგობრობის ვითარებაში

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვლადისლავ გომულკა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი იუზეფ ცირანკევიჩი, 14 აპრილს დარბაზობა გამართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები.

ვ. გომულკასთან და ი. ცირანკევიჩთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, პოლონეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, ჟურნალისტები.

სტუმრებს შორის იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობის დროს, რომელმაც ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა ი. ცირანკევიჩმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

პოლონეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია იყო ლენინის მავზოლეუმში

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, 14 აპრილს იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო.

პოლონელ ამხანაგებს მავზოლეუმში ყოფნისას ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სხვები. (საკდესი).

სამი რაიონის შეჯიბრება

ბოლნისი. (საკ. კორ.). აქ სტუმრად ჩამოვიდა უკრაინის სსრ ბერშადის საწარმოო სამმართველოს დელეგაცია. (დელეგაციას მეთაურობს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე დიმიტრი სტარი). აქვე სტუმრად იმყოფება სომხეთის სსრ სტეფანავანის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის დელეგაცია სამმართველოს უფროსის ბენიკ მაკინიანის ხელმძღვანელობით. მოძმე რესპუბლიკის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბოლნისის საწარმოო სამმართველოში გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეხვედრა. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ბოლნისის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. სანიკიძემ.

თითბირზე თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს ბოლნისის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ზ. მანთაშვილმა, სტეფანავანის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ბენიკ მაკინიანმა, ბერშადის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ დიმიტრი სტარიმ, ფაბრიკოლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალი ალიევმა, ალკვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა იასონ ჯიქიძემ და სხვებმა.

თითბირზე გაფორმდა სამ რაიონს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. უკრაინელი და სომეხი კოლმეურნეები საქართველოში სტუმრად ყოფნის დროს გაეცნენ ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას.

პროფესორ-მედიკოთა საერთაშორისო სემინარი

ლენინგრადი, 13 აპრილი. (საკდესი). დღეს დაიწყო აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ევროპის 21 ქვეყნის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების პროფესორებისა და მასწავლებლების საერთაშორისო მოძრაკი სემინარის მეცადინეობა. სემინარი მოაწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ. მისი მონაწილეები სწავლობენ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებების საქმიანობას.

კონტინენტზე დაბრუნდნენ

ტიჰაკი, 11 აპრილი. (საკდესი). მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთ პოლუსი-12" ორსაბრის პირველი წელი ნაყოფიერი იყო, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის მაღალი განედის ექსპედიციის ხელმძღვანელმა ვ. როგაჩოვმა. 358 დღის დრეიფის მონაწილეებმა თავიანთ კოლეგებს დაუთმეს ყინულის მინდორი და არქტიკიდან მატერიკზე ჩრდილოეთის პატარა ქალაქ ტიქსიში დაბრუნდნენ.

ყინულის კუნძულმა, რომელსაც გასული წლის გაზაფხულზე მეცნიერებმა თავიანთი ბედი მიანდეს, პოლუსისაკენ 300 საზღვაო მილი განვლო.

ამ დროის მანძილზე ყინული 20-ჯერ დაპატარავდა.

მოდრეიფე სადგურში „ჩრდილოეთ პოლუსი-12" უკვე ჩაყვანილია მოზამთრეთა ახალი შემადგენლობა. ისინი მუშაობას შეუდგნენ.

ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, აგრეთვე მოსახლეობაში ფართოდ გაიშალა პრომპაგანდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის".

თბილისის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა თათბირი

პროფესორ ვ. ბ. ესაიაშვილის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის" და პრომპაგანდის მშრომელებისათვის განმარტების ფორმებისა და მეთოდების შესახებ.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ა. სალუქვაძე. (საკდესი).

იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოთ მუდმივ მოქმედ აგიტპუნქტებს, აგიტკოლექტივებს, რომლებიც მოსახლეობაში მუშაობენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა მოიწვია ქალაქის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ინსტრუქციული თათბირი. თათბირზე მიიწვიეს პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების იდეოლოგიური დარგის მუშაკები, მუდმივ მოქმედი აგიტპუნქტების გამგეები, პროპაგანდისტები, რომლებიც მოსახლეობაში მუშაობენ, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, ძველი ბოლშევიკები.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს

ბოლნისი. (საკ. კორ.). ამ სტუმრად ჩამოვიდა უკრაინის სსრ ბერშადის საწარმოო სამმართველოს დელეგაცია. (დელეგაციას მეთაურობს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე დიმიტრი სტარი). აქვე სტუმრად იმყოფება სომხეთის სსრ სტეფანავანის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის დელეგაცია სამმართველოს უფროსის ბენიკ მაკინიანის ხელმძღვანელობით. მოძმე რესპუბლიკის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბოლნისის საწარმოო სამმართველოში გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეხვედრა. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ბოლნისის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. სანიკიძემ.

ბოლნისი. (საკ. კორ.). ამ სტუმრად ჩამოვიდა უკრაინის სსრ ბერშადის საწარმოო სამმართველოს დელეგაცია. (დელეგაციას მეთაურობს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე დიმიტრი სტარი). აქვე სტუმრად იმყოფება სომხეთის სსრ სტეფანავანის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის დელეგაცია სამმართველოს უფროსის ბენიკ მაკინიანის ხელმძღვანელობით. მოძმე რესპუბლიკის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბოლნისის საწარმოო სამმართველოში გაიმართა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეხვედრა. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ბოლნისის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. სანიკიძემ.

ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

თესვის ფრონტიდან

გაზაფხული მინდვრებში

აპრილი საუკეთესო აგროტექნიკური ვადაა საგაზაფხულო თესვისათვის.

ამიტომ არის, რომ ამ დღეებში შესამჩნევად გაძლიერდა თესვის ტემპი. მარტო აპრილის მეორე ხუთდღიურში რესპუბლიკაში დაითესა 21.398 ჰექტარზე მეტი საგაზაფხულო კულტურები. სულ 10 აპრილისათვის დათესილია 74.861 ჰექტარი, გეგმის 17,8 პროცენტი. დაითესა 15.331 ჰექტარი სიმინდი.

სიღნაღის რაიონი

საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 10 აპრილისათვის 15.557 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დათესეს, რაც გეგმის 54,9 პროცენტს შეადგენს. ფართოდ არის გაჩაღებული სიმინდის თესვა. უკვე დათესილია 2.293 ჰექტარი.

ბოლნისის რაიონი

ბოლნისელმა მხვნელ-მთესველებმა საგაზაფხულო კულტურები დათესეს 7.607 ჰექტარი, ანუ გეგმის 37 პროცენტი. რაიონში მასობრივად შეუდგნენ სიმინდის თესვას. ბოლნისელებს დათესილი აქვთ 3.094 ჰექტარზე მეტი სიმინდი.

გორის რაიონი

გორის რაიონში დათესილია 7.468 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. ეს გეგმის 30,3 პროცენტს შეადგენს. თავთავიანი კულტურების თესვის ვადები ამოიწურა. თესვა კი ჯერაც არ არის დამთავრებული. ამ დღეებში რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დაიწყეს სიმინდის თესვა. დათესილია სიმინდის პირველი ასეული ჰექტარები.

საგარეჯოს რაიონი

საწარმოო სამმართველოში წარმატებით მიმდინარეობს თესვა. უკვე დათესილია 6.099 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. გეგმა შესრულებულია 39,2 პროცენტით. დათესეს 800 ჰექტარამდე სიმინდი.

მცხეთის რაიონი

მცხეთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთელი ფრონტით გაჩაღდა თესვა. სულ დათესილია 3.991 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, რაც გეგმის 39,4 პროცენტს უდრის.

გარდაბნის რაიონი

საბჭოთა მეურნეობებმა 4.857 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დათესეს. კარგა ხანია დაამთავრეს მზესუმზირას, ქერის, ძირხვენების თესვის დავალებები. გაჩაღებულია ბოსტნეული კულტურების თესვა. ახლა დიდი საზრუნავია სიმინდის თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრება.

საგაზაფხულო კულტურების თესვა გაჩაღდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც დათესილია 4.317 ჰექტარი. თესვის ფრონტი ფართოვდება ახალციხის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, თეთრი წყაროს, ხაშურის, წყალტუბოს და სხვა საწარმოო სამმართველოებში.

ჟენევაში დიადი საშინაოში

კომუნისტი

პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის

თბილისის სახალხო კონტროლიორთა გამოცდილების ბიულეტენი

ფასების კონტროლით!

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ბიულეტენი №12

ამ გვერდზე წაიკითხეთ:

- წუნი წარმოების ლაქაა
- უხარისხო ავეჯი და მომხმარებელთა საყვედური
- ქარხნების „ელექტროგამშვებისა“ და „აქატის“ ცუდი ნახელავი
- დავამყაროთ წესრიგი შაპი და ფერადი ლითონების ხარჯვაში

კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს. სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ისინი აქტიურად იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოურიდებლად ავლინებენ წუნისმეკეთებლებს, სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს საწარმოო მარკის ღირსების დასაცავად.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ყურადღება მიაქცია მათი მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს — პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლას.

„განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — პროდუქციის ხარისხისათვის, წუნის მკეთებელთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, რომლებიც ზარალს აუენებენ როგორც მთელ საზოგადოებას, ისე თვითეულ მშრომელს“.

თბილისის სახალხო კონტროლიორებმა ამ მითითების შესასრულებლად მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს. ისინი აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ მტკიცედ იქნას დაცული საწარმოო მარკის ღირსება. მაგრამ ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად მათ ჯერ კიდევ დიდი და პასუხსაგები მუშაობა მოელით.

ქალაქის ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ აქვს ადგილი წუნდებული პროდუქციის გამოშვების ფაქტებს. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემყობი ჯგუფები და საგუშაგოები უფრო ღრმად უნდა ჩაწვდნენ წარმოებას, გაბედულად ებრძოლონ წუნის მკეთებლებს, აღკვეთონ იერიშობანა, რაც უხარისხო პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ამ გვერდზე მოთავსებული წერილები მოგვითხრობენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ზოგიერთ ღონისძიებაზე, რასაც ისინი ახორციელებენ პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში.

საწარმოს მარკის ღირსება

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების, მათი ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის მუდმივი ზრუნვა და მეთვალყურეობა. ამ მიზნით მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ თავიანთი ფართო შესაძლებლობანი, ღრმად გაუკეთონ ანალიზი და შეისწავლონ ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ დაბალი ან ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, დროულად დააყენონ საკითხები, შეიტანონ წინადადებები შესაბამის ორგანოებში ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისათვის. უფრო მეტიც. მათი ვალია არა მარტო წამოაყენონ კონკრეტული წინადადებანი და დასახონ ღონისძიებანი, არამედ იყონ მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის, საქარხნო-საფაბრიკო მარკისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

როგორი მდგომარეობაა თბილისის მრეწველობის ცალკეულ დარგებში პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში და რა მუშაობას ეწევიან ამ მხრივ ქალაქის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები?

შარშან საფეიერო მრეწველობის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის 13,5 პროცენტზე მეტი არ შეფფერებოდა სათანადო ხარისხს, ხოლო ქსოვილების 21,2 პროცენტი გადასაკეთებლად დაუბრუნდა მათს გამომშვებ საწარმოებს.

ანალოგიური მდგომარეობაა სამკერვალო და ფეხსაცმლის საწარმოებში, რომლებიც ხშირად უშვებენ მოძველებული ფასონისა და ნიმუშის, არამიზიდველი ფერების ტანსაცმელსა და ფეხსაცმელებს.

ამის შემდგ რა გასაკვირველია, რომ ასეთი საქონელი ვერ საღდება და დიდი რაოდენობით ჩაწოლილია საწარმოებში, ბაზებსა და საავჭრო ორგანიზაციებში.

სადაც პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები სისტემატურად სწავლობენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს და ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს მისი გაუმჯობესებისათვის, იქ შედეგიც კარგია.

მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშაგოები საამქროებში სისტემატურად ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს, ავლენენ წუნის გამომწვევ მიზეზებს და ადგილზევე პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მუშაკებს უხარისხოდ შეკერილი ტანსაცმლის გამოშვების აღსაკვეთად. ერთი ფაქტი: ფაბრიკა უშვებდა მამაკაცის პერანგებს, რომლებსაც მოკლე სახელოები ჰქონდა. ჯგუფმა შეისწავლა ეს საკითხი და დადგინა, რომ წუნს იწვევდა სახელოთა სოლის თარგი, რომელიც ნორმაზე ერთი სანტიმეტრით ნაკლები იყო. ასეთ თარგზე გამოჭრილი სახელო მიკერების შემდეგ მოკლე გამოდიოდა.

ხელშემწყობი ჯგუფის მუშაკებმა, ადმინისტრაციასთან ერთად განახორციელეს საჭირო ღონისძიებანი ამ ნაკლის გამოსასწორებლად. გათვალისწინებულ ნორმაზე დაიყვანეს ყველა სოლის თარგი და ამ ჯგუფი აღმოფხვრეს ხსენებული სახის წუნის გამომწვევი მიზეზი.

ამის მსგავსი ფაქტი მრავალი შეიძლება მოვიყვანოთ.

მე-7 სამკერვალო ფაბრიკის კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის მიერ ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საწარმოს კოლექტივმა შეძლო შარშან წინა წელთან შედარებით შეემცირებინა წუნდებული პროდუქციის გამოშვება.

სამწუხაროდ, ასე არ ითქმის ზოგიერთ საწარმოს ხელშემწყობ ჯგუფზე. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: მეორე უნივერსალური მაღაზიის საბავშვო სექციაში ფაბრიკა „საქტრიკოტაჟიდან“ შემოიტანეს 20.931 მანეთის საქონელი, რომლის ნაწილი დაბალი ხარისხისა აღმოჩნდა. კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის მიერ ამ საქონლის ნიას შორის, ცდებიან ფაბრიკის, ექსპერტიზისა და არბიტრაჟის მუშაკები, ისარჯება დამატებითი -თანხები, მაგრამ... წუნდებულ პროდუქციას მომხმარებელი მანც არ ყიდულობს.

ფაბრიკასთან არსებულ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფსა და საგუშაგოებს დროულად რომ შეეფასებინათ წუნდებული პროდუქციის გამომშვების მიზეზები, განეხორციელებინათ ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის, ასეთი მდგომარეობა აღარ იქნებოდა.

1963 წელს და მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში „თბილმრეწველაჯრობაში“ შედგენილია 247 აქტი საავჭრო გაერთიანება „განთიადის“ მიერ მიწოდებული უხარისხო პროდუქციის თაობაზე, აქედან დაბრუნებულ პროდუქციაზე — 165, ხოლო ხარისხიდან ხარისხში გადაყვანის შედეგად ჩამოფასებულ საქონელზე — 82 აქტი. სულ დაბრუნებული და ჩამოფასებული პროდუქციის ღირებულებამ 61.997 მანეთი შეადგინა, რისთვისაც გაერთიანებას გადახდა 15.630 მანეთი ჯარიმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გაერთიანება „განთიადს“ გასული წლის სექტემბერში უკან დაუბრუნდა მის მიერ გამომშვებული ყველა ფიგნის კარადა, ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ბრძანებით საავჭრო ორგანიზაციებს აეკრძალათ სარეალიზაციოდ მიეღოთ „განთიადის“ მიერ გამოშვებული ფიგნის კარადები.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის 26 კომისარის სახელობის რაიონული კომიტეტის ვალია ქმედითი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს გაერთიანება „განთიადში“ შემავალ საწარმოთა ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებს, მკვეთრად გააანალიზოს და დარაზმოს ისინი გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რომ ამ კოლექტივმა შეძლოს ჩამორჩენილ ისლაქა, რაც მას მიაყენა საკუთარმა უხარისხო საქონელმა.

არც გაერთიანება „ისანშია“ ამ მხრივ კარგად საქმე. მის მიერ შეკერილი და სარეალიზაციოდ გამოშვებული ფეხსაცმელი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მარტო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ქსელის მიერ დაბალ ხარისხში გადაყვანილია 3.735 წყვილი ფეხსაცმელი, რომლის ჩამოფასების თანხამ 4.765 მანეთი შეადგინა, ამ პროდუქციის ნაწილი გაერთიანება „ისანის“ მიერ არის გამოშვებული.

აქ არ მოვიყვანთ თბილისის სამკერვალო ფაბრიკების მიერ წუნდებული ტანსაცმლის გამოშვების ფაქტებს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ მხრივ იქაც სერიოზული ნაკლოვანებებია, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს, აუარესებს ფაბრიკების ეკონომიურ მაჩვენებლებს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ულაზათოდ შეკერილი ტანსაცმელი თვეობით, წლობით აწყვია მაღაზიებში და ზოგჯერ ორჯერ და სამჯერ ჩამოფასების შედეგადაც კი ვერ საღდება.

ძალიან ბევრი, მეტწილად სრულიად გაუმართლებელი და შეუწყნარებელი ნაკლოვანებანია სამშენებლო სამმართველოთა კოლექტივების მუშაობაშიც. საცხოვრებელი სახლებისა თუ სამრეწველო ობიექტების მშენებლობისადმი არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის, სამუშაოთა მწარმოებლების უყაირათობის, შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად ხშირად ირღვევა აგურის წყობის, კარ-ფანჯრების დაყენების, წყალსადენის, კანალიზაციის, გათბობის ქსელისა და მოწყობილობათა გაყვანის ელემენტარული ნორმები და წესები.

ამართლია, კონტროლის რაიონული კომიტეტები, ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები ხშირ შემთხვევაში ადგილებზე ამოწმებენ და სწავლობენ სამუშაოთა დაბალი ხარისხით შესრულების გამომწვევ მიზეზებს, სახავენ და ახორციელებენ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მიერ მიღებული ზომები საკმარისი არ არის. საჭიროა მეტი ოპერატიულობა და ქმედითობა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულმა კომიტეტებმა მკვეთრად უნდა გაუმჯობესონ თავიანთი ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობა, ქმედითი დახმარება გაუწიონ მათ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, რაც საბჭოთა მომხმარებლის ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების კარგი საწინდარი იქნება.

ა. ბარკალაია,
პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორი.

კონტროლის ადგილობრივ კომიტეტებში

26 კომისრის რაიონი

უარშან მე-4 სატრიკოტაჟო ფაბრიკის პროდუქციის ბევრი უსიამოვნება მიაყენა როგორც მის მწარმოებელს, ისე მომხმარებელს; აი ფაქტები: მარტო 1963 წლის სამ კვარტალში ფაბრიკას გადახდა 550 მანეთი ჯარიმა უხარისხო პროდუქციისათვის, ხარისხიდან ხარისხში გადაყვანილ იქნა ორ ათასზე მეტი ცალი ნაწარმი, რისთვისაც მეტრიკოტაჟეებს გადახდათ 3500 მანეთი ჯარიმა. ამავე პერიოდში ქარხანას „საქტანსაცმელთაქრობის“ ბაზიდან გადასაკეთებლად გაეგზავნა 800, ხოლო ხარისხიდან ხარისხში გადაყვანილ იქნა 1.700 სხვა და სხვა სახის ნაწარმი. ფაბრიკას მიღებული აქვს 30-მდე რეკლამაცია. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, რომელმაც თავის სხდომაზე განიხილა ქარხანაში შექმნილი მდგომარეობა, აღნიშნა, რომ დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ძირითადი მიზეზია ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელობისა და ტექნიკური კონტროლის აპარატის მუშაკთა არასაკმაო ზედამხედველობა, მზა პროდუქციის შეფუთვის წესების დარღვევა.

კომიტეტის მიერ მიღებული ღონისძიებანი ეხმარება ფაბრიკის ადმინისტრაციას პროდუქციის ხარისხის დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

პირველი მაისის რაიონი

ხშირად გაიგონებდით მომხმარებელთა პრეტენზიებს ხისდასამუშავებელი № 2 კომბინატის პროდუქციის მისამართით. მშრომელთა ამ გულისწყრომის სამართლიანობა დაადასტურეს სახალხო კონტროლიორებმა, რომლებმაც შეამოწმეს კომბინატის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი.

პროდუქციის ხარისხზე ცუდ გავლენას ახდენდა სასაწყობო მეურნეობის მოუწესრიგებლობა. მზა პროდუქცია ეწყო საამქროში. ხის მასალებს ღია ცის ქვეშ ინახავდნენ. სრულიად უვარგის მდგომარეობაში იყო სასაშრობო მეურნეობა, რაც აუარესებდა გაშრობის ხარისხს: მზა ნაწარმი განსაზღვრული პერიოდის შემდეგ იბზარებოდა, უჩნდებოდა ღრიჭები, იბრიცებოდა და სხვ.

სახალხო კონტროლიორთა შემოწმების მასალები განიხილა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, რომელმაც ფხიზელი მეთვალყურეობა დაუწესა მიღებულ ღონისძიებათა შესრულებაზე.

ოქტომბრის რაიონი

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე სამრეწველო განყოფილებამ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხელშემწყობ ჯგუფსა და საგუშაგოებთან ერთად შეამოწმა ამ ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

შემოწმებამ დაადგინა, რომ სხმულის წუნის გამომწვევი ძირითადი მიზეზია ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, რომელმაც თავის სხდომაზე განიხილა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შემოწმების მასალები, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. როგორც ქარხნიდან იტყობინებიან, მიღებული ზომების შედეგად უკანასკნელ ხანებში აქ მნიშვნელოვნად შემცირდა წუნი.

სახალხო კონტროლიორთა რეიდი

ვინ იყიდის წუნდებულ პროდუქციას?

ხშირად სიხარულს ვერ დამალავ, როცა მაღაზიაში ოჯახისათვის რაიმე ნივთის შესაძენად შეხვალ. სწორედ ასეთი განწყობით მოვიდა იმ დღეს თბილმრეწველაჭრობის № 19 მაღაზიაში მაღალ-მაღალი, ჭაღარანარევი შუახნის მამაკაცი.

იგი მოღიმარი თვალებით მიუახლოვდა ტანსაცმლის კარადას. კარს ხელი შეახო თუ არა მის სახეზე სიხარული გაკრა, წარბი შეეკრა:

— რას ჰგავს? კარი ძნელად იღება და წვალებით იკეტება!..

გამყიდველმა პასუხი ვერ გასცა, ენა დაება: წარმოების ბრალიაო, მხოლოდ ესა თქვა ბოლოს.

რეიდის მონაწილეებმა დაწვრილებით შეისწავლეს ტანსაცმლის ამ კარადის ისტორია: დადგინდა, რომ იგი თბილისის საავეჯო საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ გამოშვებაა. როგორც წარმოების დოკუმენტებიდან გამოირკვა, აღნიშნული კარადა პირველი ხარისხისა უნდა ყოფილიყო.

კარადას მართლაც აღმოაჩნდა „სნეულებანი“: არ იკეტებოდა კარი, ზოგი ნაწილი გამრუდებული ჰქონდა. სათანადო ორგანოების დასკვნით კარადა გადაყვანილ იქნა მეორე ხარისხში. ამავე მაღაზიიდან წარმოებას შესაკეთებლად დაუბრუნდა ექვსი ტახტი.

რვა ცალი ხის საწოლიც დეფექტიანი აღმოჩნდა, მათ პირველი კი არა, მეორე ხარისხის გამოცდაც ვერ ჩაბარეს. სათანადო აქტში ფიქსირებულ იქნა, რომ ეს საწოლები კვლავ წარმოების კედლებში გაიელიან შეკეთების ოპერაციებს. ხის უხარისხო საწოლი გამოუშვა საავეჯო საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ მეექვსე ფილიალმა (უფროსი გ. ყაზახაშვილი).

თბილმრეწველაჭრობის № 40 მაღაზიაში დეფექტიან საწერ მაგიდებს წავაწყდით. შვიდი ცალი მაგიდიდან სამი ცალი პირველი ხარისხიდან გადაყვანილ იქნა მეორე ხარისხში. მაგრამ ამ მაგიდებს ასეთი ბედი ეწია: ერთ-ერთ ფანჯარასთან ერთ-ერთ მაგიდაზე ფანჯარა ისე ეკეცა, ეს ადგილი ისეთ ადგილად ქცეულიყო, ეს ადგილი ისეთ ადგილად ქცეულიყო, ეს ადგილი ისეთ ადგილად ქცეულიყო

ბობოქარი კონტინენტი

15 აპრილი აფრიკის ხალხების თავისუფლების დღეა.

აფრიკა კაპიტალისტური მსოფლიოს თითქმის მეოთხედს შეადგენს. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმპერიალისტური სახელმწიფოების გაძარცვრებული კოლონიზაციის ობიექტს წარმოადგენდა. იმპერიალისტებმა მრავალი ათეული წლის ძარცვის შედეგად აფრიკა მოშიკვდავ კონტინენტად გადააქციეს.

შავი კონტინენტის დანაწილებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, პორტუგალიის, ბელგიის, იტალიის, ესპანეთის კოლონიზატორებმა.

თუ გადავფურცლავთ მსოფლიოს ხალხთა ისტორიას, დავინახავთ, რომ აფრიკის რუკაზე რამდენიმე დიდი და პატარა სახელმწიფო არსებობდა. IV-XIII საუკუნეებში დასავლეთ-სუდანის ეროველ ტერიტორიაზე არსებობდა განის ძლევამოსილი იმპერია, რომელიც შემდეგ მალის იმპერიამ შეცვალა და ისიც XVI საუკუნეში მაროკოელთა შემოსევებით მრავალი წვრილ სახელმწიფოდ დაიშალა. ამ ტერიტორიების სამხრეთისაკენ VIII-X საუკუნეებში აღმოცენდა ხაუსის ხალხთა სახელმწიფოები.

სხვა კონტინენტების ხალხთა მსგავსად, აფრიკის ხალხებიც არათანაბრად ვითარდებოდნენ. სამუალო საუკუნეებში აფრიკის ხალხების ერთი ნაწილი პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა და მათ, ბუნებრივია, არ იცოდნენ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

მეცხრამეტე საუკუნის 20-40-იან წლებში აფრიკაში მოძრაობდა ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნის პროცესები. მაგრამ ამ საქმის განხორციელებას წინ გადაეღობნენ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები. ასე შეუშალეს ინგლისელებმა ხელი აფრიკის თავდადებულ გმირს ჩაკოს ზულის სახელმწიფოს შექმნაში.

ასე იყო დასავლეთ აფრიკაშიც. აკანის ხალხი მიისწრაფოდა მოეხდინა ფეოდალურ-ტომობრივი დაქსაქსულობის ლიკვიდაცია და შეექმნა ერთიანი ეროვნული სახელმწიფო, მაგრამ ამ მისწრაფებას წინ აღუდგა ინგლისი.

აფრიკის ხალხები ფეოდალურ-ტომობრივი დაქსაქსულობის ლიკვიდაციისა და დიდი ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნის პროცესს განაცდიდნენ, მაგრამ ეს პროცესი, რომდენადმე გვიან მიმდინარეობდა ევროპასთან შედარებით. ისტორიული კაპიტალისტური პროცესი დარღვეულ იქნა კოლონიზატორთა ძალადობით.

ოქტომბრის რევოლუციამ შეარყია კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა და კოლონიების ხალხები მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ნაკადში ჩაება. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნით კაპიტალიზმმა დაკარგა თავისი ყოვლისშემძლეობა და მსოფლიოში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის.

კოლონიური ქვეყნების და მათ შორის აფრიკის ხალხთა ცხოვრებაში ისტორიული გარდატეხა მოხდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობამ არნახულად დააჩქარა ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება კოლონიურ ქვეყნებში. ამ დროიდან ჩაგრულ ხალხებს მხოლოდ ერთნახევარი ათეული წელი დასჭირდათ, რომ ძირფესვიანად შეერყიათ კოლონიური სისტემა.

აფრიკის, განსაკუთრებით მისი ტროპიკული სარტყლის, ხალხები მეორე მსოფლიო ომის დასასრულს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების უფრო დაბალ დონეზე იმყოფებოდნენ, ვიდრე აზიის ხალხები. აფრიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი — გლეხობა (80%) აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მისი ძირითადი მოთხოვნებია კოლონიზატორების მიერ წართმეული მიწების დაბრუნება, ფეოდალური და კაპიტალისტური იქსპლოატაციისაგან განთავისუფლება.

ადგილობრივი (სავაჭრო) ბურჟუაზია აფრიკის ტერიტორიების უმრავლესობაში მცირერიცხოვან ფენას შეადგენს და მისი როლი ეკონომიურ ცხოვრებაში უმნიშვნელოა. მაგრამ მისი რიგებიდან გამოსული ინტელიგენცია ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მუშათა კლასს, რომელიც 10-11 მილიონ კაცს, ანუ კონტინენტის მოსახლეობის 5 პროცენტს შეადგენს. პროლეტარიატი არა მარტო რიცხობრივად იზრდება, არამედ პოლიტიკურადაც ვითარდება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომუნისტური პარტიები, რომლებიც თავიანთ რიგებში აფრიკის მშრომელთა საუკეთესო ნაწილს აერთიანებენ.

1956 წლის იანვარში გამოცხადდა სუდანის დამოუკიდებლობა. მარტში ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა ორმა არაბულმა ქვეყანამ — მაროკომ და ტუნისმა. დიდი მოვლენები მოხდა 1956 წლის ეგვიპტეში. ამ ქვეყნის ხალხმა მიაღწია იხგლისის სამხედრო ბაზების საბოლოო ლიკვიდაციას თავის ტერიტორიაზე და საოკუპაციო ჯარების გაყვანას, მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია. ამის გამო ეგვიპტემ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესია განიცადა. ეგვიპტის ხალხს დიდი დახმარება გაუწიეს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა და პირველ რიგში საბჭოთა კავშირმა. აგრესია დასრულდა ინტერვენტთა სამარცხვინო შედეგით: მათ ჯარებს მოუხდათ ეგვიპტის ტერიტორიის დატოვება.

ამრიგად, ომისშემდგომი მეორე ათწლეულის დასაწყისისათვის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკის თითმეტ ქვეყანამ, ალჟირის გამოკლებით ძოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გზა გაეხსნა ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას.

არაბული ქვეყნების წარმატებებმა აღაფრთოვანა საჰარის სამხრეთით მდებარე კოლონიები. ამ რაიონში ყველაზე პირველად (1957 წლის მარტში) პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა ინგლისის კოლონიამ ოქროს ნაპირმა, რომელმაც მიიღო სახელწოდება განა (შუა საუკუნეების აფრიკული სახელწოფოს სახელი დასავლეთ აფრიკაში).

1958 წლის ოქტომბერში ლიკვიდირებულ იქნა კოლონიური რეჟიმი დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე — გვინეაში, რომელიც საფრანგეთის კოლონიური იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო.

აფრიკის ისტორიაში პირველად გახდა შესაძლებელი მთელი მატერიკის ფართო მასშტაბის თათბირის მოწვევა, რომელმაც განიხილა აფრიკის ხალხთა ბედიღბლის საკითხი. 1958 წლის აპრილში განის დედაქალაქ აკრაში შედგა აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების პირველი კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს განის, ლიბერიის, ლიბიის, მაროკოს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სუდანის, ტუნისისა და ეთიოპიის მთავრობათა წარმომადგენლებმა. აფრიკა, განაცხადეს კონფერენციის მონაწილეებმა, არ შეიძლება დარჩეს იმპერიალისტური ქვეყნების საუნდლეულო დანამატად. გადაწყდა შეექმნას კომიტეტი ეკონომიური და ტექნიკური პრობლემების შესასწავლად. გადაიდგა ნაბიჯი ეკონომიური დაგეგმარების კოორდინაციისა და სხვა საკითხებზე.

1958 წლის დეკემბერში აკრაში მოწვეულ იქნა აფრიკის ხალხთა პირველი კონფერენცია, რომელსაც კონტინენტის 28 ქვეყნის 300 დელეგატი ესწრებოდა. კონფერენციამ ჩაიარა „ჩვენი თაობის სიცოცხლეში დამოუკიდებლობის“ ლოზუნგით.

1959 წლის თებერვალში აფრიკის ეროვნული კონგრესის მოწოდებით ნიასალენდში დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა.

1960 წლის 1 იანვარს გამოცხადდა კამერუნის რესპუბლიკის, ხოლო აპრილში ტოგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

1960 წლის ზაფხული განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო აფრიკის ისტორიაში. კოლონიური რეჟიმის რღვევამ ჯაჭვური რეაქციის ხასიათი მიიღო. ივნისში დამოუკიდებლობა მიიღეს სუდანმა, სენეგალმა, მადაგასკარმა, ბელგიის კონგომ. ივლისში შეიქმნა სომალის რესპუბლიკა, ავგისტში სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მიაღწია საფრანგეთის ყოფილმა კოლონიამ დაგომეამ, ნიგერიამ, ზემო ვოლტამ, სპილოს ძვლის ნაპირმა, ჩადმა, კონგომ და გაბონმა. ოქტომბერში დამოუკიდებლობა გამოცხადდა ნიგერიაში, ხოლო მომდევნო თვეს დამოუკიდებლობა მიიღო მაგრიტანიამ. ამრიგად, მარტი 1960 წელს აფრიკის 17 სახელმწიფომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1961 წელს გამოცხადდა სიერა-ლეონესა და ტანგანიკის დამოუკიდებლობა; 1962 წელს — უგანდის, ბურუნდის და რუანდის, ხოლო 1963 წელს — ზანზიბარის- და კენიისა. ამრიგად, დღეისათვის აფრიკის ტერიტორიის დაახლოებით 80 პროცენტი და მოსახლეობის 90 პროცენტი თავისუფალია კოლონიური უღლისაგან.

კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის დღე მოახლოებულია. აფრიკის დარჩენილი კოლონიური ხალხები მალე დაადგებიან დამოუკიდებელი განვითარების გზას.

მაგრამ განვითარების როგორ გზას ირჩევს აფრიკა? კაპიტალისტს თუ სოციალისტს?

აფრიკის ქვეყნებისათვის დაკეტილი არ არის განვითარების სოციალისტური გზა. პირიქით, მისი მოწონაა ადამიანები უარყოფენ განვითარების კაპიტალისტურ გზას, რადგან იგი გლეხთა მასების სოლტაკეში დატოვებას ნიშნავს, და სურვილი აქვთ წავიდნენ სოციალისტური განვითარების გზით.

კაპიტალისტური განვითარების გამოცდილებით სოციალიზმზე გადასვლა თეორიულად დასაშვებია, ხოლო პრაქტიკულად განხორციელებისათვის შექმნილი ობიექტური წანამძღვრები. სოციალიზმის სისტემის ქვეყნები ყოველთვის უწევენ დახმარებას აფრიკის განთავისუფლებულ ქვეყნებს. მაგრამ „აფრიკული სოციალიზმის“ ზოგიერთი წარმომადგენელი გვერდს უვლის მეცნიერული სოციალიზმის ისეთ კარდინალურ საკითხს, როგორიც არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობის გზით. ისინი ფიქრობენ, რომ სოციალიზმის დროს დასაშვებია კერძო კაპიტალისტური წარმოების არსებობაც და სხვ.

აფრიკის ისეთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა, მორიგ ამოცანად ითვლება სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის მოხდენა. რევოლუციის შედეგად ლიკვიდირებულ იქნება რასობრივი დისკრიმინაცია, აფრიკის მკვიდრი მოსახლეობა მიიღებს პოლიტიკურ თავისუფლებას და ამის შემდეგ იხსნება გზა სოციალისტური მშენებლობისაკენ.

აფრიკის კონტინენტის ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკის განვითარებაში დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ამ დახმარებას ისინი დიდად აფასებენ. ამასთან ერთად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის საკითხის დასმის ინიციატორი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იყო საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა თავრობა თანმიმდევრობით ატარებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზეა დაფუძნებული, და მოითხოვს საყოველთაო და სრულ განიარაღებას, რაც სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის აფრიკის ქვეყნებს, ფართო პერსპექტივებს უსახავს ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში.

ვ. რეხვიაშვილი.

თავისუფლებისათვის ბრძოლის წლები

☐ **მაისი, 1963.** გაიმართა ისტორიული კონფერენცია აფრიკის სახელმწიფოთა და დამოუკიდებელი ქვეყნების მთავრობათა მეთაურებისა, რომლებმაც შექმნეს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია.

☐ **აგვისტო, 1963.** აჯანყებულმა ხალხმა ბრაზავილში ჩამოაგდო საფრანგეთის დამქაში — მარჯვენა ნაპირის კონგოს პრეზიდენტი ფულბერ იულუ.

☐ **სექტემბერი, 1963.** ალჟირელი ხალხის უდიდესმა უმრავლესობამ მოიწონა რესპუბლიკის კონსტიტუცია და ალჟირის პირველ პრეზიდენტად აირჩია ბენ ბელა.

☐ **ოქტომბერი, 1963.** იფეთქა ხალხის აღშფოთებამ, რასაც შედეგად მოჰყვა დაგომეის პრეზიდენტის საფრანგეთის მარიონეტ იუბერ მაგის ჩამოგდება.

აფრიკის უდიდესი სახელმწიფო ნიგერია რესპუბლიკად გამოცხადდა.

ტუნისის მთავრობამ მიაღწია იმას, რომ ბიზერტაში ლიკვიდირებულ იქნა საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზა.

☐ **დეკემბერი, 1963.** გამოცხადდა კენიისა და ზანზიბარის დამოუკიდებლობა.

დაიშალა როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაცია, რომელიც ინგლისელი კოლონიზატორების მიერ იყო შექმნილი.

☐ **იანვარი, 1964.** ზანზიბარში მოხდა რევოლუცია, რომელმაც ბოლო მოუღო სასულთნოს პროინგლისურ რეჟიმს და ქვეყანა სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა.

☐ **მარტი, 1964.** არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გამოაცხადეს კონსტიტუციური დეკლარაცია და გამოსცეს დეკრეტები ნაციონალიზაციის შესახებ.

საგჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის სიმგოლო

დელი, 13 აპრილი. (საკდესი). ბპილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებელთა კოლექტივმა ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა. დამთავრდა მეოთხე საკოქსე ბატარეის აგება.

ახალი საკოქსე ბატარეის ამუშავების ცერემონიაზე გამოვიდა ფოლადის, წიაღისეულისა და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი სუბრამანიანი. მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს ქარხნის აგებაში დახმარებისა და მეგობრული თანამშრომლობისათვის. სუბრამანიამ ხაზი გაუსვა, რომ ბპილაის მშენებლობის ერთ-ერთი შესანიშნავი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საბჭოთა ხალხმა რწმენა ჩაუნერგა ინდოელ მუშებს, ტექნიკოსებსა და ინჟინრებს.

ბპილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლები ვარაუდობენ წლის დამდეგამდე ათმუშაონ კიდევ ერთი საკოქსე ბატარეა, ბრმამედი და ორი მარტენის ღუმელი. ეს საშუალებას მისცემს მშენებლებს ქარხნის საწარმოო სიმძლავრეები გაადიდონ ერთ მილიონ რვაას ათას ტონამდე წელიწადში. როცა დამთავრდება ყველა სამუშაო ქარხნის გასაფართოებლად, მისი სიმძლავრე გადიდდება და გახდება ორნახევარი მილიონი ტონა ფოლადი წელიწადში.

ჯ. ნერუს განცხადება

დელი, 13 აპრილი. (საკდესი). მიუმხრობლობის პოლიტიკა სწორი იყო არა მარტო წარსულში, არამედ ეს პოლიტიკა კიდევ უფრო სასურველია დღეს, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ, რომელმაც შეაჯამა ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატაში საგარეო პოლიტიკის გამო გამართული კამათის შედეგები. ბევრი ქვეყანა, რომლებმაც უკანასკნელ ხანს დამოუკიდებლობა მოიპოვეს, დაადგა მიუმხრობლობის პოლიტიკის გზას, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ნერუმ თქვა, რომ ინდოეთი დადებითად ეკიდება მიუმხრობელი ქვეყნების კონფერენციის მოწვევის იდეას, და აღნიშნა, რომ ინდოეთი აპირებს მონაწილეობა მიიღოს ამ კონფერენციაში. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ განიარაღების პრობლემას, განაცხადა მან შემდეგ.

იმის გამო, რომ ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდები შევიდნენ ინდოეთის ოკეანის წყლებში, პრემიერ-მინისტრმა თქვა: საწყენია, რომ ინდოეთის ოკეანის წყლებს სერავენ ატომური იარაღით აღჭურვილი ხომალდები. ჩვენ არ გვინდა, რომ ატომური იარაღით აღჭურვილი ხომალდები უახლოვდებოდნენ ინდოეთის ნაპირებს, თქვა მან. ნერუმ აღნიშნა, რომ ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდები არ შედიან ინდოეთის ტერიტორიულ წყლებში და ინდოეთის ნავსადგურებში.

ჯ. ნერუმ კვლავ დაადასტურა, რომ თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მიიღებს კოლომბოს კვეყნების წინადადებას, ინდოეთი მზად იქნება დაიწყოს მოლაპარაკება. ინდოეთის მთავრობა კვლავ იმ აზრს ადგას, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს სასაზღვრო კონფლიქტი ჩინეთთან, თქვა მან.

ინდოეთის მთავრობას, თქვა ნერუმ შემდეგ, საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს ინდოეთ-პაკისტანის უთანხმოებანი. მან იმედი გამოთქვა, რომ ინდოეთისა და პაკისტანის მოლაპარაკებას საბოლოო ანგარიშით დადებითი შედეგები მოჰყვება.

ახალი პროვოკაციები

კაირო, 13 აპრილი. (საკდესი). იემენის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გამოაცხადა, რომ ინგლისის სამი თვითმფრინავი 10 აპრილს შეიჭრა იემენის საჰაერო სივრცეში ჰარიბის რაიონში. იემენის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ინგლისის მთავრობას.

გენუაში, საბჭოთა გამოფენაზე

გენუა, 13 აპრილი. (საკდესი). დღეს გენუაში საზეიმო ვითარებაში ჩამოუშვეს სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი და 15 საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე, რომელიც 22 დღეს მუშაობდა აქ. ამ ხნის მანძილზე გამოფენა დაათვალიერა 700 ათასზე მეტმა კაცმა. ბევრმა მათგანმა დატოვა ჩანაწერები, რომლებიც მოწმობენ, რომ გამოფენის ექსპონატებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

ალმების ჩამოშვების წინ გამოფენაზე იყო იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონიო სენინი, რომელიც დაწვრილებით გაეცნო ექსპონატებს და ჭარმატება მიულოცა გამოფენის დირექტორს პ. ა. ჩერვიაკოვსა და ყველა თანამშრომელს.

ჩომგე სამსახურს ითხოვს

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). „უჩემოდ კონგოს პრობლემები ვერ გადაწყდება“, — თავმომწონედ განაცხადა ლონდონში კატანგის თვითმარქვია „პრეზიდენტმა“ მოიზ ჩომბემ, რომელმაც ინტერვიუ მისცა იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტს.

საქმეს ჩამოშორებული მოიზ ჩომბემ ახლა აშკარად ცდილობს დაუბრუნდეს პოლიტიკურ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ მიაყო ხელი თვითრეკლამას და გამუდმებით აქებს და ადიდებს თავის სისხლიან „გმირობას“, რითაც სურს სახელი გაითქვას. ჩომბე საკუთარ თავს კონგოელი ხალხის კეთილის მყოფელად ასაღებს და გამოაცხადა, — მისი დამსახურება კონგოს წინაშე ის არის, რომ უკან დახევის დროს კატანგაში არ ააფეთქა შახტები, შენობები, ხიდები, კაშხალები. „საკმარისი იყო სიტყვა დამეძრა და მთელი კონგო აფეთქებოდა“, — განაცხადა მან.

ჩომბემ თქვა, წერილი გავუგზავნე კონგოს პრემიერ-მინისტრს სირილ ადულას, და შევთავაზე გამოიყენოს ჩემი ცოდნა და გამოცდილება ცენტრალურ მთავრობაში სამსახურისათვისო. მაგრამ ადულამ არ უპასუხა ამ წინადადებაზე.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო ლონდონიდან იუწყება: როცა ჩომბემ უპასუხა კითხვაზე მიაჩნია თუ არა, რომ როცა ივნისში კონგოდან წაეღენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები, კონგოში კვლავ დაირღვევა კანონი და დაიწყება უწესრიგობა, ჩომბემ პირქუშად თქვა: „იქ არც ეწლა არის კანონი და წესრიგი. მთელ კონგოში გამეფებულია არეულობა და უწესრიგობა. ლეოპოლდვილშიც კი შემოღებულია საგანგებო წესები“.

სეატოს მონაწილეთა უთანხმოებანი

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). მანილაში მეორე დღეა გრძელდება სამხედრო ბლოკის სეატოს მონაწილე ქვეყნების მინისტრების საბჭოს სესია. სესია მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის გამწვავებული უთანხმოების ვითარებაში. ასეთივე უთანხმოებაა ამ ბლოკის სხვა წევრებს შორისაც. სეატოში, აღნიშნავს ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, წელს უფრო მნიშვნელოვანი უთანხმოებაა, ვიდრე შარშან.

ისტორიული ნიშანსვეტი ძმური თანამშრომლობის გზაზე

ნატოში ნაპრალები ღრმავდება

კენედის მკვლელობის ახალი ვერსიები

რუბი იმედს არ კარგავს

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). „მსჯავრდებული მკვლელი ჯეკ რუბი ძლიერი ბადრაგით კვლავ გამოჩნდა დალასის სასამართლოს შენობაში, სადაც გუშინ დაიწყო სასამართლო განხილვა, რაც გამოწვეულია დაცვის მუცადინეობით იხსნას იგი ელექტროსკამისაგან“, — იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. ახალი ცნობილი ადვოკატები, რომლებიც რუბის ნათესავებმა დაიქირავეს, მოითხოვენ განმეორებით გასამართლებას.

დალასიდან მიღებული ცნობებით, ჯეკ რუბი არც თუ ცუდად გრძნობს თავს და არ კარგავს იმედს, რომ თავისუფლებას აიცილებს ელექტროსკამს. როგორიც უნდა იყოს საბოლოო გადაწყვეტილება რუბის საქმეზე, ხოლო ეს პროცესი, ალბათ, კიდევ არა ერთ თვეს გაგრძელდება, იმ ბიზნესმენ-განგსტერის გასამართლებამ, რომელმაც ოსვალდი „მოიშორა“, ვერ შეიტანა რაიმე გარკვევა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დაღუპვის საქმეში.

ამერიკის პრესაში დამკვიდრდა თითქმის ოფიციალური ვერსია, რომლის თანახმად ჯონ ფ. კენედი მოჰკლა ფსიქიურად დაავადებულმა მარტოხელა კაცმა. ამავე დროს, როგორც იუწყებიან პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, „ვიღაც კაცს“ ევროპაში მიანნია, რომ პრეზიდენტი კენედი გახდა შეთქმულების მსხვერპლი. „მილიონობით ევროპელს, — იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო, რომლის კორესპონდენტებმა მოაწყეს ადამიანთა გამოკითხვა ევროპის ბევრ ქვეყანაში, — არ სჯერა, რომ პრეზიდენტი კენედის მკვლელობა არ იყოს ნაწილი უფრო დიდი შეთქმულებისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი“.

სტაჩის ქაქსაედიცის მგზავრი შეიცვალა

ოსლო, 14 აპრილი. (საკდესი). სტაბის ექსპედიცია ჩარჩა პოლარულ თოვლში. წუხელ ნორვეგიის ტრანსპოლარული ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბიორნ სტაიბმა შეგვატყობინა, რომ იგი და მისი ამხანაგები ზამთრის პერიოდში ვერ განახორციელებენ მთელ ლაშქრობას ისე, როგორც იყო დაგეგმილი. ისინი იძულებული იქნებიან რომელიმე სადგურში დარჩნენ ამ ზაფხულს და მხოლოდ შემდეგ გაგრძონ გზა. მოულოდნელი დაბრკოლება აღმოჩნდა ღრმა ფხვიერი თოვლი, რომელიც ხელს უშლის დატვირთული მარხილების მოძრაობას.

მოითხოვენ საქმის გადასინჯვას

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო დალასიდან (ტეხასი) იტყობინება, მოსამართლე ბოაუნმა უარი განაცხადა ჯეკ რუბის დამცველთა თხოვნაზე, გაეგრძელებინა ვადა აპელაციის მოსამზადებლად. მოსამართლემ 29 აპრილს დანიშნა სხდომა, რომელიც მოისმენს დაცვის თხოვნას საქმის გადასინჯვის შესახებ.

მიწისძვრა

ბელგრადი, 13 აპრილი. (საკდესი). 9 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ბელგრადში აღინიშნა საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა. ქალაქის ბევრმა მცხოვრებმა დატოვა შენობები და ქუჩებში გამოცვივდნენ.

აქ მიღებული ცნობებით, მიწისძვრა იგრძნობოდა აგრეთვე სერბიის, ბოსნიისა და ხორვატიის ბევრ ქალაქში. ზოგიერთ სახლში დაიბზარა ფანჯრის მინები, ხოლო სახლების ნაწილი დაზიანდა.

სერბიის სეისმური ინსტიტუტი იუწყება, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი იყო სამკუთხედში ქალაქების ბერვენტისა და სლავონსკი-ბროდსა და ვუჩიაკის მთას შორის, დაახლოებით 200 კილომეტრზე ბელგრადის ჩრდილოდასავლეთით. მიწისძვრის ძალა ეპიცენტრში დაახლოებით 8 ბალს შეადგენდა.

ბუდაპეშტი, 13 აპრილი. (საკდესი). 13 აპრილს დღის პირველ ნახევარში უნგრეთის სეისმურმა სადგურებმა აღნიშნეს მიწისქვეშა ბიძგები ბუდაპეშტში და უნგრეთის ზოგიერთ სხვა რაიონში. როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მიწისძვრის ძალა აღწევდა 6 ბალს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

საერთო მიზნისაკენ!

ბუდაპეშტი, 13 აპრილი, (საკდესი). გაზეთმა „ხალხური ხირე

გმირებო, სადა ხართ?

„შემოწმებულია. ნაღმები არ აღმოჩნდა. ივანოვი". რომელ პოლონელს არ ასოვს ეს წარწერები ჩვენი სახლების კედლებზე? ასეთი წარწერებით ვსწავლობდით პირველ რუსულ ასოებს. ამიტომაც შეუძლებელია დღეს აუდელვებლად უყურებდე კადრებს ქრონიკალური ფილმებიდან, რომლებზეც აღბეჭდილია თავისუფლების პირველი საათები. საბჭოთა არმიის გადასვლა მდინარე დასავლეთ ბუგზე. მოწეიმე ლიუბლინი ეგებება განმათავისუფლებლებს. ბრძოლები პლაცდარმებისათვის ვისლის დასავლეთ ნაპირზე. ვარშავის შტურმი. ბიდგოშჩი 1945 წლის იანვრის დღეებში. სასე საბჭოთა ჯარისკაცისა, რომელიც პურს არიგებს პოზნანის ქუჩაში...

საბჭოთა ადამიანებმა კვლავ ნახეს ეს კადრები 20 წლის შემდეგ ცენტრალური ტელევიზიის „ახალი ამბების ესტაფეტის" უკანასკნელ გადაცემაში. მათ თხოვნით მმართეს პოლონელმა კინემატოგრაფისტებმა, რომლებიც იღებენ დოკუმენტურ ფილმს ფაშისტ დამპყრობთაგან პოლონეთის განთავისუფლების მონაწილე საბჭოთა მეომრების შესახებ: „დაგვეხმარეთ იმ გმირების მონახვაში, რომლებიც გამოსახული არიან ომის წლების კადრებზე. გვინდა კვლავ შევხვდეთ მათ, გავიგოთ მათი მოგონებანი 1944 და 1945 წლების ღირსსახსოვარი დღეების შესახებ, გავიგოთ, როგორ ცხოვრობენ ისინი დღეს, და ვუამბოთ მათ შესახებ პოლონელ ტელემაყურებლებს".

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის გვარები ვიცით. საბჭოთა კავშირის გმირი, კაპიტანი ტანკისტი პოტაპოვი, რომელიც გადაღებულია ვარშავის მარჯვენა ნაპირის ნაწილის — პრაღის ქუჩების ბრძოლების დროს. პოლკოვნიკი სპასოვი — ლოძის ერთ-ერთი განმათავისუფლებელი. მარეგულირებელი მარინე მაკაროვა, რომელიც გზას უჩვენებდა ბერლინისაკენ მიმავალ ნაწილებს. სად არიან და რას აკეთებენ ისინი?

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ძიებაში ჩაბმული „ახალი ამბების ესტაფეტის" ტელემაყურებლებს შორის აღმოჩნდებიან ისინიც, რომლებმაც ძველ ქრონიკალურ კადრებში იცნეს თავიანთი თავი, თავიანთი მამები, ქმრები, შვილები, ძმები, მეგობრები და ნაცნობები. და დარწმუნებული ვართ, რომ მალე გვექნება სასიხარულო შეხვედრა მათთან.

პოლონეთის განმათავისუფლებელთა შესახებ მომავალი ფილმის რეჟისორი მარიან მაჟინსკი უკვე იყო საბჭოთა კავშირში, რათა მოეძებნა ყოფილი პარტიზანები, რომლებიც პოლონელთა ტყის რაზმებში იბრძოდნენ. საერთო მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. პირველი გამგზავრების დროს ფილმის შემქმნელმა ხელი ჩამოართვა ორ ქართველ ექიმს — წყალტუბოელ ირაკლი ლორთქიფანიძეს და სიმონეთელ ერმილე ქართველიშვილს.

ომის წლებში ისინი გერმანელთა ტყვეობიდან გაიქცნენ და პოლონეთის პატრიოტებს შეუერთდნენ. ერთ-ერთ მათგანს პოლონელი პარტიზანები მაშინ „ლორდს" ეძახდნენ, მეორეს — „მოხუცს". ირაკლი ლორთქიფანიძე პოლონელთა პარტიზანული ბრიგადის მთავარი ქირურგი იყო.

ორივენი გამოვლენ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც პოლონეთის განთავისუფლების მე-20 წლისთავისათვის შეიქმნება. ფილმი მოგვითხრობს ომის დროინდელი კინოქრონიკების კადრებზე აღბეჭდილ იმ გმირებზეც, რომლებიც ჯერ კიდევ არ მოგვინახავს, მაგრამ იმედი გვაქვს მოვნახავთ.

რიშარდ ბადოვსკი,
პოლონელი ჟურნალისტი.

„იზვესტია".

როგორც პოლონელ ჟურნალისტ რიშარდ ბადოვსკის წერილიდან ჩანს (რომელსაც აქვე ვბეჭდავთ) პოლონელი კინემატოგრაფისტები ეძებენ გმირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ისინი ამზადებენ ფილმს.

ფილმს ამზადებს პოლონეთის ტელევიზია, რეჟისორია მარიან მაჟინსკი.

ამ ფილმში, როგორც „დოკუმენტური გმირები", მონაწილეობს ჩვენი ორი თანამემამულე — ექიმები: წყალტუბოელი ირაკლი ლორთქიფანიძე და სიმონეთელი ერმილე ქართველიშვილი.

ამ ორი მამაცი ქართველი ექიმის თავგადასავალი მართლაც საგბიროა და საინტერესო.

◇ ◇

...1941 წელი, 22 ივნისი. გერმანელმა ფაშისტებმა ფეხი შემოდგეს ჩვენს მიწა-წყალზე, დაიწყო ომი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი.

აღდგა ქვეყანა მტრის რისხვად. ხალხი დადგა სამშობლოს სადარაჯოზე, ვაჟკაცები წავიდნენ სამხრად. კაცურ-კაცს რა დააყენებდა ზურგში. წავიდა ყველა, და წავიდნენ ირაკლი ლორთქიფანიძე და ერმილე ქართველიშვილიც. მაგრამ ამ ორი კაცის ბედი ერთნაირად შებრუნდა უკუღმა. ტყვედ ჩავარდნენ. „თუ გული გულობსო..." ტყუილად როდი ამბობს ჩვენი ხალხი. თუ კაცი ვარგა, ყველგან კაცად რჩება. ირაკლიმ და ერმილემ ტყვეობის პირველივე დღიდან დაიწყეს გაქცევაზე ფიქრი. რა არ გადახდა ამ ორ კაცს. მართლა წისქვილი არ შემობრუნებულა მათ კისერზე, თორემ სხვა ყველაფერი გადაიტანეს და, ბოლოს... მაინც გაიქცნენ, გაქცნენ და პარტიზანებს შეუერთდნენ.

პოლონეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლი მესამე პარტიზანული ბრიგადის მეთაურს პოლკოვნიკ ზიგმუნდ პოლოვნიკს მოახსენეს ტყვეობიდან გაქცეული რუსები მოვიყვანეთო და ქართველიშვილი და ლორთქიფანიძე წარუდგინეს.

ესიამოვნა პოლკოვნიკს, როცა შეიტყო, რომ ისინი ექიმები იყვნენ. და დარდიანი ღიმილით დასძინა: ღვთის წყალობით საქმე არ შემოგაკლდებათ.

იარაღით ხელში, პოლონელების მხარდამხარ, იბრძოდნენ ჩვენი თანამემამულენი პოლონეთის მიწის განთავისუფლებისათვის.

ისინი ბრძოლის დროს მებრძოლები იყვნენ, ბრძოლის შემდეგ კი ექიმები.

ირაკლი ლორთქიფანიძე ბრიგადის მთავარ ქირურგად მუშაობდა.

ვინ იცის, რამდენი ჭრილობა დაუმეგობიათ ქართველ ექიმებს პოლონელი მამაცი პარტიზანებისათვის.

ზურგში ნატყვიარის არ ვმკურნალობთ, ასეთია ჩვენი წესიო... — ეხუმრებოდნენ ისინი დაჭრილებს. პოლონელები გულიანად იცინოდნენ. მათ გულწრფელად უყვარდათ ჩვენი თანამემამულენი.

პარტიზანებში ზედმეტი სახელების შერქმევა თითქოს წესად არის შემოღებული, ჩვენებიც მალე „მონათლეს".

— „ლორდ!" ამა ნახე ჭრილობა!.. — ეს ირაკლი ლორთქიფანიძეს ეძახდნენ „ლორდს".

— „მოხუცო", დამალევინე წამალი, არაფერი არა მტკივა, მაგრამ რომ ამტკივდეს?.. — ერმილე ქართველიშვილს ეხუმრებიან ახალგაზრდები (მას „მოხუცი" შეარქვეს).

ორ წელზე მეტი იბრძოლეს ქართველმა მებრძოლებმა პოლონეთის მიწაზე.



გმირები საქართველოდან

— გერმანიასთან „ჩხუბშია ნაშყოფი"... გამოცდილი კაცია, ისეთია, რომ ჩკუა ეკითხება!.. — ამბობენ სიმონეთელები და ღიმილს გაიყოლებენ ექიმს, რომელიც მიდის და გზადაგზა კითხულობს:

— რას შობა, მელიტონ, შენი ბიჭი?..

— ოლღა... მეიხედა შენმა ავადმყოფმა?

— სევერიანე... გაუშვი ბავშვი სკოლაში?

— მობრძანდი, მობრძანდი, ექიმო!.. — უხარიათ ყველგან ექიმის გამოჩენა.

...ერმილე უკვე ბაბუაა, შვილებიც ექიმები ჰყავს, რძალიც ექიმი...

დროდადრო ჩავა წყალტუბოში ერმილე და ინახულებს რაიონის მთავარ ქირურგს ირაკლი ლორთქიფანიძეს. ვინც მათ იცნობს, არ უკვირთ, რომ ამ ორ კაცს სალაპარაკო არ უთავდება, იგონებენ წარსულს, და ცოცხლდებიან „გარდასულ დღეთა" სურათები.

...მამაკაცისათვის ვაჟკაცური წარსული იგივეა, რაც დიდი მუზისათვის ფესვები, ომგადახდილ ამ ორ კაცს ძლიერი და მაგარი ფესვები აქვს...

რ. დვალიშვილი.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ერმილე ქართველიშვილი, ირაკლი ლორთქიფანიძე და პოლონელი კინორეჟისორი მარიან მაჟინსკი.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.



თბილისში იქნება იარუსებიანი ხიდი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი ყოველწლიურად ფართოვდება, ლამაზდება. თბილისს ემატება ახალი საცხოვრებელი უბნები და კვარტალები. აქ მწყობრში დგებიან შვიდწლედის გიგანტები — ახალი სამრეწველო ობიექტები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი. ძველი ქუჩები და ხიდები თავიანთი გამტარუნარიანობითა და ტვირთამწეობით ვეღარ აკმაყოფილებენ ქალაქის მოთხოვნილებას. სწორედ ამიტომ არის, რომ ახალი უბნების გაშენებასთან ერთად ჩვენმა სახელოვანმა მშენებლებმა სახე უცვალეს ძველ ქუჩებს, მდინარე მტკვარზე ძველი ხიდების ნაცვლად ააგეს ახალი ხიდები. დღემდე ქალაქს ბარათაშვილის (ყოფილი მუხრანის) ხიდიღა შემორჩა ძველი. ჯერი ახლა მასზე მიდგა.

1962 წლის ნოემბერში მშენებლები ხიდს ესტუმრნენ. მათ გაითვალისწინეს მისი 53 წლის უანგარო სამსახური ხალხის წინაშე, მაგრამ გაბედეს და მაინც უთხრეს:

— რაც გვემსახურე, ამაზე გმადლობთ, დღეიდან შენი ყოფნა ქალაქში გაზრდილ მოძრაობას ხელს უშლის...

თავის დროზე ყოფილ მუხრანის ხიდი დედაქალაქში ყველაზე კარგი ხიდი იყო. რაკი ასეა, ახალი ხიდი, ცხადია, გაცილებით უფრო ლამაზი, დიდი გამტარუნარიანობისა და ტვირთამწეობისა იქნება.

აი რა გვითხრა ამის შესახებ „გლავმოსსტროის" სამმართველოს ტექნიკური განყოფილების ინჟინერმა მერი ჭოხონელიძემ:

— ეს ახალი ხიდი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ულამაზესი ხიდი იქნება, მას ექნება ორი იარუსი. ზემოთ იმოძრავებს ტრანსპორტი და ფეხით მოსიარულენიც, ხოლო ქვემო იარუზე — ხიდის ორივე მხარეს მოეწყობა ფეხით სასიარულო, საიდანაც გვირაბით შეიძლება გავიდეთ მტკვრის ორივე სანაპიროზე, აგრეთვე ავიდეთ ხიდის ზემოთა იარუსზე.

ასეთი ხიდი ჩვენში მართლაც რომ იშვიათია. ცნობისმოყვარეობამ დაგვძლია, ინჟინერს სიტყვა გავაწყვეტინეთ და შევეკითხეთ:

ვინ არის პროექტის ავტორი და მთავარი ინჟინერი?

— დოცენტი გიორგი ქარცივაძე, ხოლო არქიტექტურული გაფორმება ეკუთვნით არქიტექტორებს მ. ყავლაშვილსა და ვ. ქურთიშვილს.

ინჟინერმა ჭოხონელიძემ ბევრი რამ ახალი გვიამბო, რაც ხიდების მშენებლობის ისტორიაში პირველად აქ უნდა განხორციელდეს.

ახალი ხიდი ძველთან შედარებით მაღლა აიწევს 4,5 მეტრით. პროპორციულად ამაღლდება ბარათაშვილისა და ხეთაგუროვის ქუჩები, თვით ავლაბრის აღმართიც.

მარტო ხიდის მშენებლობაზე უნდა შესრულდეს 17 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაო, უნდა ჩაისხას 5,7 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, პირველად საბჭოთა კავშირში აქ მოხდება წინასწარი დაძაბული კონსტრუქციების აწყობა, რომელთა რაოდენობა 1.600 კუბურ მეტრს აღემატება.

ხიდის მშენებლობის დაწყებიდან განვლილ მოკლე დროში მშენებლებმა ნაყოფიერად იმუშავეს. მტკვრის აქაფებულ ტალღებთან ბრძოლაში მშენებლებმა გაიმარჯვეს. უკვე დაამთავრეს წყალში ორივე ბურჯის ამოყვანა.

ახლა მიმდინარეობს მუშაობა ხიდის ნაპირა ბურჯების ამოსაყვანად. ამისათვის მშენებლებს ბურჯების დასაყენებლად უნდა ამოეღოთ თერთმეტი მეტრის სიღრმის ქვაბულები, ამასთან დაკავშირებით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებული დიდი საკანალიზაციო კოლექტორი მოითხოვდა სხვა ადგილზე გადატანას. ცხადია, უოველიფე ეს დაკავშირებულია უდიდეს სამუშაოებთან. ეს მდგომარეობა დიდად აწუხებდა მშენებელთა მთელ კოლექტივს, მის მთავარ ინჟინერს გ. მგელაძეს.

ქვაბულების ამოღება დაიწყეს. გარკვეული მუშაობა ჩაატარეს, მაგრამ ინჟინერი მგელაძე კვლავ განაგრძობდა ძიებას დიდი სამუშაოების თავიდან ასაცილებლად. გაიმარჯვა ინჟინერის გამჭრიახმა გონებამ. გადაწყვიტა სპეციალური ხიმინჯები ჩაესოთ მიწაში და ზედ დაეყენებინათ განაპირა ბურჯები. თავისი აზრი სპეციალისტებს გაანდო. ყველაფერი ზუსტად გაიანგარიშეს, აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს, რომ ამ წესით მუშაობის წარმართვა დიდად საიმედოა და ხელსაყრელი. ამ წინადადების განხორციელება მშენებლებს თავიდან აიცილებს მიწის დიდ სამუშაოებს, დააჩქარებს მშენებლობას და სამშობლოს 165 ათას მანეთს დაუზოგავს. ადგილზე დარჩება დიდი საკანალიზაციო კოლექტორი, რომლის აღებაც პროექტით გათვალისწინებული იყო.

— ხიმინჯების ჩასობა დაიწყეთ? შეეკითხეთ ინჟინერ რ. ნასიძეს.

— როგორ არა. ახლა ხიმინჯების ჩასობა წარმატებით მიმდინარეობს.

თერთმეტი მეტრის სიმაღლის რკინაბეტონის ხიმინჯები ფეხზე აღუმართავთ. უყურებ ამას, და განცვიფრებული რჩები. რა ძალამ უნდა დაარტყას, რომ ეს უშველებელი სვეტი მიწაში ჩაასოს.

ხიმინჯი ზუსტად გაასწორეს. მას თავზე დაჰყურებს სპეციალური მანქანა ურნალი. ყველაფერი მოაწესრიგეს, საჭირო იყო დარტყმის განხორციელება.

მემანქანე ა. ლაპერდინს მისცეს განკარგულება. დაიწყო მძლავრი დარტყმა. საუკუნეების მანძილზე უძრავად მყოფი თბილისის მიწა იძულებული იყო გზა მიეცა ხიმინჯისათვის.

— თვითეული დარტყმის ძალა რას უდრის? შევეკითხეთ მემანქანეს.

— 2,8 ტონას, — გვიპასუხა მან.

მშენებლობის ყველა უბანი დავათვალიერეთ. ისმის მშენებელთა ომახიანი შეძახილები, თუხთუხებენ კომპრესორები, გრიალებენ ექსკავატორები, დავლურს უვლიან ბულდოზერები. უყურებ და განცვიფრებული რჩები. ყველა უბანზე გმირული შრომაა გაჩაღებული. გინდა გამოიცნო, ვინ არის მშენებელთა შორის ყველაზე საუკეთესო. ცხადია, გამოცნობა გაგვიჭირდა და ისევ ინჟინრებს მერი ჭოხონელიძეს და რეზო ნასიძეს ვთხოვეთ დაეხასელებინათ მოწინავე ადამიანები.

— გვიჭირს კოლექტივიდან ვინმე განსაკუთრებულად გამოვარჩიოთ. თვითეული მათგანი თავისი სრული შესაძლებლობით მუშაობს, რათა ღირსეული წვლილი შეიტანოს დედაქალაქის ყველაზე ლამაზი და უნიკალური ხიდის მშენებლობაში, მაგრამ ელექტროშემდუღებელს გ. ცინაძეს, ურნალის მემანქანეს რ. ცქიტიშვილს, ამწის მემანქანეს ა. კირთაძეს, მეარმატურე ო. ჭყოიძეს, ურნალის მემანქანის დამხმარე მუშას ვ. აგაფონოვს და ექსკავატორის მემანქანეს ვ. გოგაშვილს ვერავინ შეედრება.

მშენებლებს კიდევ აქვთ ერთი დიდი საზრუნავი. როგორ მოხსნან ძველი ხიდი ისე, რომ არ დაზიანდეს ახალი ხიდის მშენებლობა. 600 ტონიანი რკინის ნაგებობის მოხსნა ძნელი გამოდგა. ამიტომ მოსკოვის ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხიდების მშენებლობის სპეციალისტები და თვით ახალი ხიდის პროექტის ავტორი ამუშავებენ ძველი ხიდის მოხსნის პროექტს.

გათვალისწინებულია ხიდის მშენებლობა დამთავრდეს 1965 წლის მაისისათვის. მაგრამ მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ხიდზე მოძრაობა გახსნან დანიშნულ ვადაზე ადრე და თბილისელებს ალალი გულით ათქმევინონ — კარგია, მშენებლებო, დაგელოცოთ მარჯვენა.

ზ. ჯამასპიშვილი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ხიმინჯების ჩასობა ურნალით, ქვემოთ — მოწინავე მშენებლების ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეგობართა შეხვედრები

მჰიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვთ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მეორე მუსიკალური სასწავლებლისა და ერევნის რ. მელიქიანის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებსა და აღმზრდელ პედაგოგებს. ამ მეგობრობას ორი წლის წინათ, 1962 წლის გაზაფხულზე ჩაეყარა საფუძველი. მაშინ თბილისელ ნორჩ მუსიკოსებს მათივე მოწვევით ერევნელი „კოლეგები" ეწვივნენ, მეგობრულ საღამო-კონცერტზე ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ.

სურათზე: თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის და ერევნის რ. მელიქიანის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა მეგობრობის საღამო-კონცერტის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

იმავე წელს ნოემბერში ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალურ სასწავლებელს დაარსების 50 წლისთავი შეუსრულდა. საიუბილეო საღამოში, რომელიც კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა, ერევნის რ. მელიქიანის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. ერთი თვის თავზე უკვე ერევანი იყო თბილისელთა მასპინძელი.

მიმდინარე წელს რ. მელიქიანის სახელობის სასწავლებლის დაარსების 40 წლისთავის საიუბილეო საღამოზე თბილისელი მოსწავლეები მიიწვიეს, ხოლო ამ დღეებში ერევნელი ნორჩი მუსიკოსები თბილისელთა სტუმრები იყვნენ.

გაიმართა მეგობრობის ორი საღამო-კონცერტი. პირველი მათგანი, რომელიც კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარდა, მთლიანად სტუმრებს დაეთმო. მეორე კონცერტში კი (რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში) მონაწილეობდნენ ერევნელი და თბილისელი მოსწავლეები. „მეგობრობის საღამო" — ასე უწოდეს ნორჩმა მუსიკოსებმა თავიანთ შეხვედრა-კონცერტს.

შემოქმედებითი საღამო

ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა კინოოპერატორების — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. ნაგორნისა და ა. აჯიბეგიშვილის დაბადების 60 და კინემატოგრაფიაში მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კინორეჟისორ-ოპერატორმა გ. ასათიანმა. ნ. ნაგორნისა და ა. აჯიბეგიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კინორეჟისორი შ. ჩაგუნავა.

საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები ნ. ნაგორნისა და ა. აჯიბეგიშვილის მიერ გადაღებული დოკუმენტური კინოფილმებიდან.

„კეცხოველი"

ახლახან სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ცნობილი ქართველი ბელეტრისტის **იაკინთელისაშვილის** რომანი **„კეცხოველი"**. ეს არის ამ წიგნის მეექვსე გამოცემა ქართულ ენაზე. რომანი თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, აგრეთვე საზღვარგარეთის რამდენიმე ენაზე.

„კეცხოველში" ასახულია პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლისა და მოწაფის, გამორჩენილი ქართველი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის ბავშვობა, ყრმობა და ჭაბუკობა, მისი დიდი რევოლუციური მოღვაწეობა.

წიგნის რედაქტორია ილ. ხოშტარია, მხატვარი — ბ. ხავთასი. ტირაჟი 30.000, გვ. 484, ფასი 87 კაპ.

სამკურნალო წყალი „ზვარე"

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). თავისი შემადგენლობითა და თვისებებით სამკურნალო წყალი „ზვარე" ძალიან უახლოვდება ბორჯომის მინერალურ წყაროებს.

ზვარეს მინერალური წყაროების ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა გასული წელი და სამშობლოს 36.000 მანეთი მოგება მისცა.

ნივთეგი — განვადებით

ცაგერი. (საკ. კორ.). აქ წარმატებით დაინერგა ხანგრძლივი მომსახურების საგნების განვადებით გაყიდვის პრაქტიკა. მომხმარებლები იძენენ შეკერილ ტანსაცმელს, კულტსაქონელს და სხვა ძვირადღირებულ ნივთებს.

ამ დღეებში რაიცენტრის წიგნის მაღაზიამ დაიწყო წიგნების გაყიდვა კრედიტით. ზოგიერთმა განვადებით შეიძინა 30-40 მანეთის წიგნები.

ვაჭრობის ასეთი მეთოდის დანერგვას მომხმარებლები კმაყოფილებით შეხვდნენ.

მოკლედ

△ **წალენჯიხა. (საკ. კორ.).** ამას წინათ წალენჯიხაში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც მეორეა ქალაქში. იგი ლამაზ კეთილმოწყობილ შენობაშია მოთავსებული. ბაღში მუშაობენ კვალიფიციური აღმზრდელები.

△ **საქართველოს სსრ ფილარმონიის მსახიობები** თელაველთა ხშირი სტუმრები არიან. ამ დღეებში თელაველთათვის საღამო-კონცერტი გამართეს: სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დავით ბადრიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ც. თაყაიშვილმა, ს. ჟორჟოლიანმა და სხვებმა.

ნ. მატარაძე.

△ **დამსვენებელთა** უკეთ მომსახურების მიზნით ზუგდიდის კავშირგაბმულობის საკავშირო კანტორამ ამას წინათ კურორტ ცაიში გახსნა ახალი კეთილმოწყობილი საფოსტო განყოფილება, რომელიც მომსახურებას გაუწევს დამსვენებლებსა და კურორტში განლაგებულ სავაჭრო ობიექტებს.

გ. ალშიბაია.

△ **ტყიბულ-ქვანახშირის** ტრუსტის ლენინის სახელობის შახტის ასობით მეშახტე და მშენებელი ყოველწლიურად შვებულებას ატარებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებსა და აგარაკებზე. მებიგე მ. რაკუნოვმა პროფკავშირის შეღავათიანი საგზურით დაისვენა კისლოვოდსკში, გამყვანმა ბ. ბუაჩიძემ — ცაიში, გამყვანმა ნ. ტუდიანოვმა — სოჭში და სხვ.

წლის პროფკავშირის შეღავათიან საგზურს მიიღებს ოთხასზე მეტი მეშახტე და მშენებელი

ს. მთაგორიძე.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

15 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და بალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლუჩია დი ლამერმური (მე-12 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — კონსული მოიპარეს (მე-9 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — საჭიროა მატყუარა (აბონ. გარეშე), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — თეთრად ფრიალებს აფრა ეული (აბონ. № 24, დილის 10 ს.).

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), **კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — სიჩუმე** (I-II სერია), **ამირანი** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — **მოგზაურობა აპრილში**, **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი — ჯულბარსი**, **სპარტაკი**, 26 **კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — **მაკბეტი**, **კომკავშირელი — ჯუნგლი**, 26 **კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — **როცა ცოლი მიდის...**, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი**, **ყაზბეგი** (მე-2 დარბაზი), **კოსმოსი — ერთი კინკლაობის ამბავი**, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — **ოჯახური თილისმა**, **ოფიცერთა სახლი**, **კიროვის სახელობის პარკი**, **გაზაფხული**, **ნაკადული — შიშველი დიპლომატი.**

ᲠᲐᲓᲘᲝ

16 აპრილი

პირველი პროგრამით

06.35 — მუსიკა კინოფილმებიდან, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — პოპულარული ქართული სიმფონიური მუსიკა, 11.15 — კონცერტი ბახის ნაწარმოებებიდან, 12.10 — სამხრეთ ოსეთის რადიოს გადაცემა, 12.25 — თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — ყაზახური მელოდიები, 17.15 — სიმპერტო მუსიკა, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ნარკვევი — „ნორჩი ტექნიკოსები", 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — „მუერის ზურაბ ანჯაფარიძე", 19.30 — კულტურის რადიოუნივერსიტეტი — საუბარი — „თანამედროვე ეპოქა დინამიზმი", 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — „ძილისპრული", 20.30 — გადაცემა ციკლიდან — „შექსპირი მუსიკაში" — ვერდის ოპერა „ფალსტაფი", 23.30 — პოპულარული სიმღერები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

16 აპრილი

12.00 — კინონარკვევი „დიდება როსტოვს", 12.20 — მხატვრული ფილმი „ცხოვრების გაკვეთილი", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი", 18.30 — სპორტული გადაცემა, 19.15 — კინონარკვევი „დიდება როსტოვს", 19.35 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „ძვირფასი თოასნობა", 19.45 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები", 20.35 — გახსნადებები, 20.40 — ჩარლი ჩაპლინის ფილმები „ბიჭუნა" და „თავგადასავლის მაძიებელი", 22.00 — ახალი ამბები.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ — ᲛᲔᲠᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲛᲔᲠᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ — ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲛᲔᲠᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ — ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(აკ. წერეთლის პროსპ. № 2)

16 აპრილს

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის მეორე ქვეჯგუფის გუნდები შორის

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ"

(ძირითადი შემადგენლობები)

დასაწყისი 17 ს. და 30 წ.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 16 აპრილს დღის 12 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

ორიოდე კვირა გავიდა, რაც დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის პირველობის გათამაშება ფეხბურთში.

საქართველოს უძლიერესი კოლექტივები გაყოფილია ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში, სადაც გათამაშდება საჩაჩო ადგილები, გამოდის 18 გუნდი.

მეორე ქვეჯგუფში მონაწილეობს 16 გუნდი. აქ გამარჯვებული კოლექტივი გადაეცემა ერევნელ ექნება პირველი ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში.

პირველ ქვეჯგუფში ლიდერები არიან თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და გორის „დილას" გუნდები, რომლებსაც ექვსი შესაძლებლიდან ხუთ-ხუთი ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა ტყიბულის „მეშახტე" (4 ქულა).

მეორე ქვეჯგუფში წინ არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელსაც 6 შესაძლებლიდან 6 ქულა აქვს. ზუგდიდის „სამეგრელოსა" და ცხინვალის „სპარტაკს" ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

მორიგი ტურის მატჩები შედგება 19 აპრილს.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-08, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სახწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ

უᲔ 07834

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.